სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/08

(ოქმი N12)

ქ. ბათუმი 22 აგვისტო 2022 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^{7} მუხლის 1-ლი პუნქტის, 35^{10}-ე მუხლის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესის (დამტკიცებული, მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 16 სექტემბრის N01-01-20 გადაწყვეტილებით) საფუძველზე:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. დამტკიცდეს საკონკურსო განცხადება და კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადის ფორმა თანდართული სახით. დანართი N1, დანართი N2;

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი